

ქორწინების რეგისტრაცია

საკონსულო სამსახურში ქორწინების რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირების მიმართ. ქორწინების რეგისტრაცია და ქორწინების მოწმობის გაცემა ერთიანი პროცესია.

მომსახურების მისაღებად აუცილებელია საკონსულოში ორივე მხარის გამოცხადება წინასწარ ჩაწერით.

ქორწინების რეგისტრაცია ხორციელდება დაქორწინების მსურველ პირთა და არანაკლებ ორი სრულწლოვანი, ქმედუნარიანი მოწმის თანდასწრებით.

საქორწილო ასაკია 18 წელი, 16 წელს მიღწეული პირის ქორწინება დასაშვებია კანონიერი წარმომადგენლების თანხმობით, ან სასამართლოს გადაწყვეტილებით. ქორწინებისთვის აუცილებელია დასაქორწინებელ პირთა თანხმობა.

ქორწინების რეგისტრაცია უფასოა

წარსადგენი დოკუმენტები:

- დასაქორწინებელ პირთა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რომელიც ადასტურებს მათ საქართველოს მოქალაქეობას;
- წინა ქორწინების, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შეწყვეტის/მოშლის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- მოწმეთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გაითვალისწინეთ, რომ სხვა სახელმწიფოს მიერ გაცემული ნებისმიერი დოკუმენტი დამოწმებულ უნდა იყოს აპოსტილით